

ტრანსგენერაციული ტრავმა და მისი გავლენის პირობებში ფორმირებული  
იდენტობის თავისებურებები აფხაზეთის ომის დევნილთა უმცროს თაობაში

ნონა შიუკაშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნონა შიუკაშვილი

07.04.2020

## აბსტრაქტი

კვლევა მიზნად ისახავს ერთი მხრივ განსაზღვროს, რა რთულ და კომპლექსურ ფსიქო-სოციალურ გარემოში მოხდა იმ ახალგაზრდების პიროვნული ფორმირება, რომელთა ოჯახის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია ომი, დანაკარგი, ტრავმა და პოსტ-ტრავმული გამოწვევები, მეორე მხრივ კი აღწეროს იდენტობის ფორმირებაზე აღნიშნული კონტექსტის გავლენები.

პიროვნული იდენტობა წარმოადგენს თვითმყოფადობის განცდას, რომელიც ადამიანს საკუთარი თავის განსაზღვრის შესაძლებლობას აძლევს დროისა და სივრცის ფარგლებში. ერიქსონის მიხედვით, ეგო იდენტობის განვითარების მაღალი დონე ნიშნავს უნარს, ადამიანმა შეძლოს განსხვავებული გამოცდილებებისა და მოცემულობების გაერთიანება, სინთეზი. ინდივიდის პიროვნული იდენტობის ფორმირება ხდება ოჯახისა და საზოგადოების კონტექსტში.

აფხაზეთიდან დევნილთა შვილებთან, რომელთაც ომი თავად არ გამოუვლიათ, ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები. ინტერვიუს ფორმატი ეფუძნება ნარატიული იდენტობის მოდელს, რომლის მიხედვითაც ნარატივი წარმოადგენს ინდივიდის ინტერნალიზებულ და დინამიურ „ცხოვრების ისტორიას“, რომელშიც წარსულისა და წარმოსახული მომავლის რეკონსტრუქციის მეშვეობით ხდება თვითგანსაზღვრა. თვისებრივი მონაცემების თემატური დამუშავების შედეგად გამოიკვეთა ორი ძირითადი თემა: *1. აღქმული პოსტ-ტრავმული ვითარება, 2. გამოცდილების გადაფასება და იდენტობაში ინტეგრირება.*

კვლევის შედეგები იძლევა საშუალებას, აღვწეროთ ტრავმის გადაცემის მექანიზმი ოჯახური სისტემის ფუნქციონირების კრილში და განვსაზღვროთ პიროვნულ იდენტობაზე მისი გავლენის სფეროები: თვითშეფასება, პიროვნული მოტივები და ცხოვრებისეული დამოკიდებულებები. შედეგებში გამოიკვეთა ძიების პროცესის მიმდინარეობის თანმხლები სირთულეები, ახალგაზრდების მიერ ტრავმასთან

დაკავშირებული კონტექსტისა და გამოცდილებებისთვის მნიშვნელობის მინიჭების და იდენტობაში ინტეგრირების თავისებურებები.

სამიუბო სიტყვები: პიროვნული იდენტობა, ტრანსგენერაციული ტრავმა, საზრისის ძიება.

## **Abstract**

The aim of the current study is to determine and describe, on the one hand, the complex psycho-social environment of young people whose family history is marked by war, loss, trauma, and post-traumatic stress, and on the other to describe the impact of this context on identity formation.

Personal identity is a sense of identity that allows a person to experience who they are and define themselves within time and space. According to Erikson, higher levels of ego-identity development means the ability for a person to synthesize different experiences, possible selves and meanings into coherent personal identity. The formation of an individual's personal identity takes place in the context of family and society.

In-depth interviews were conducted with the children of IDPs from Abkhazia (N=5) who did not go through the war themselves. The format of the interview was based on the model of narrative identity, according to which the narrative represents the internalized and dynamic "life story" of the individual, in which self-determination is formed through the reconstruction of the past and the imagined future. As a result of thematic analysis of qualitative data, two main topics were identified: **1. Perceived post-traumatic situation, 2. Reassessment of experience and integration into identity.**

The results of the current study allow us to describe the mechanism of transmission of trauma in terms of „Family System Theory” and to determine the areas of its impact on personal identity: self-esteem, personal motives and life attitudes. The results highlighted accompanying difficulties of exploration process, meaning-making tendencies of trauma related experience and its integration into personal identity.

## მადლობა

მადლობას ვუხდის ხელმძღვანელს, პროფესორ ქეთევან მაცაშვილს, მხარდაჭერისთვის, ღირებული უკუკავშირისა და რჩევებისთვის. ასევე განსაკუთრებული მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს, ნინო სხირტლაძეს, ყურადღებისა და მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური რეკომენდაციისთვის.